# **დანართი C** საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმა

# *სარჩევი*

1 შესავალი ..... 1-1
2 დაინტერესებულ მხარეთა ადრეული და მიმდინარე ჩართულობა ..... 2-3
2.1 სხვა პროექტები ..... 2-3
2.2 კონსულტაციები WREP-SR პროექტის შესახებ ..... 2-3
3 პროექტის აღწერა ..... 3-5
3.1 დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების (WREP-SR) პროექტი ..... 3-5
3.2 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება (ESIA) ..... 3-6
4 კონსულტაციის და საჯარო განხილვის ამოცანები ..... 4-9
5 მარეგულირებელი და პოლიტიკური კონტექსტი ..... 5-10
6 დაინტერესებული მხარეები ..... 6-11
6.1 ცენტრალური და ადგილობრივი სამთავრობო სტრუქტურები ..... 6-11
6.2 პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები ..... 6-13
6.3 საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები ..... 6-14
6.4 სამეცნიერო საზოგადოება ..... 6-15
6.5 საინფორმაციო საშუალებები ..... 6-15
6.6 BP-ს პერსონალი ..... 6-15
6.7 WREP-SR პროექტის პარტნიორები ..... 6-15
7 მეთოდოლოგია ..... 7-16
7.1 კონსულტაციის მეთოდები ..... 7-16
7.2 ბრიფინგის მასალები და შეტყობინება ..... 7-18
7.3 ESIA ანგარიშის სამუშაო ვარიანტი: საჯარო განხილვა ..... 7-18
7.4 საჯარო შეხვედრები ..... 7-19
8 მონაცემების მართვა ..... 8-21
9 საჩივრების წარდგენის მექანიზმი ..... 9-22
10 ანგარიშგება ..... 10-24

## *ცხრილები*

ცხრილი 1: ადგილობრივი მთავრობის სტრუქტურა ..... 6-12
ცხრილი 2: პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები ..... 6-13
ცხრილი 3: კონსულტაციის მიდგომა და ვადები ..... 7-17
ცხრილი 4: კონსულტაციის განრიგი ..... 7-19

## *სურათები*

სურათი 1: WREP-SR პროექტთან დაკავშირებული სამუშაოების ადგილმდებარეობა ..... 3-5
სურათი 2: ESIA-ს პროცესი ..... 3-8
სურათი 3: ESIA კონსულტაციის ეტაპები ..... 7-16
სურათი 4: საჩივრის განხილვის ფორმა ..... 9-23

# 1 შესავალი

მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს საჯარო განხილვისა და კონსულტაციის გეგმას (PCDP) ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებისთვის (ESIA), რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე განსახორციელებელი დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტისათვის (WREP-SR) შეიქმნა. პროექტს ახორციელებს BP, რომელიც უზრუნველყოფს WREP-ის ექსპლუატაციას საქართველოს მილსადენის კომპანიის (GPC) დაკვეთით.

BP-ის განზრახული აქვს, რომ პროექტი იყოს გამჭვირვალე; გაუზიაროს მსოფლიო ცოდნა და გამოცდილება, რაც შეიძლება ფართო აუდიტორიას; და გააუმჯობესოს ექსპლუატაციის ხარისხი ფართო სპექტრის დაინტერესებული მხარეების ჩართვით. აღნიშნული ინფორმაციით უზრუნველყოფა დაბალანსდება საოპერაციო და კომერციული საჭიროების მიხედვით ისე, რომ ზოგიერთი ასპექტი კონფიდენციალური დარჩეს.

PCDP წარმოადგენს და აღწერს დაინტერესებულ მხარეთა საჯარო განხილვისა და კონსულტაციების პროცედურებს, რომლებიც ჩატარდა ESIA ფარგლებში. ადვილად აღქმის მიზნით, მოცემულ დოკუმენტში გამოყენებული სიტყვა „კონსულტაცია“ მოიცავს, როგორც საჯარო განხილვის, ასევე კონსულტაციის პროცესსაც.

დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციის კარგად განხორციელებული პროცესი აყალიბებს ურთიერთპატივისცემასა და ნდობაზე აგებულ ურთიერთობებს მათთან და ზრდის პროექტების ხარისხიანად შემუშავებისა და პასუხისმგებლობით განხორციელების ალბათობას. იგი ამცირებს პროექტების დამტკიცებისა და ნებართვის პროცესის გაჭიანურების, ასევე სამოქმედო გეგმებისა და ქმედებების ხელახალი შეცვლის საჭიროების ალბათობას. ამგვარი კონსულტაციები უნდა იყოს „თავისუფალი, პრიორიტეტული და ინფორმირებული“ (საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია, 2006), რაც ნიშნავს, რომ დაინტერესებული მხარეები კონსულტაციებში მონაწილეობას ღებულობენ რაიმე ზეწოლის გარეშე და მათ საჭირო ინფორმაცია მიეწოდებათ, რაზეც კომენტარი შეუძლიათ გააკეთონ, სანამ პროექტში გადაწყვეტილებების მიღება განხორციელდება.

PCDP დაფუძნებულია დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გამოცდილებაზე და ითვალისწინებს იმ მოსაზრებებს, რომელიც BP-მ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მიიღო. BP საქართველოში 1990 წლიდან მუშაობს და მის პროექტებთან დაკავშირებით რამდენიმე ხანგრძლივი საკონსულტაციო პროცესი იქნა განახორციელი. აქედან გამომდინარე, მას კარგი ურთიერთობები გააჩნია ბევრ დაინტერესებულ მხარესთან, რომელიც ასევე გამოყენებული იქნება WREP-SR პროექტის განხორციელების დროს.

PCDP მომზადდა დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტის (WREP-SR) ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებისთვის (ESIA). იგი პერიოდულად შეიცვლება, რათა ასახოს WREP-SR პროექტში განხორციელებული ცვლილებები, ESIA დროს მიღებული გამოცდილება და გაითვალისწინოს დაინტერესებულ მხარესთან განხორციელებული კონსულტაციები.

WREP-SR პროექტის სამშენებლო კონტრაქტორები ვალდებულები არიან BP-სთან თანამშრომლობით გააგრძელონ დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციის პროცესი. BP-სთან ერთად ისინი დიდ როლს ითამაშებენ ESIA-ს დოკუმენტში მოცემული შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრაში.

WREP-SR პროექტის დაინტერესებული მხარეები არიან საქართველოს მთავრობის სამინისტროები და სააგენტოები (განსაკუთრებით კი მარეგულირებელი ორგანოები), არასამთავრობო ორგანიზაციები და ის პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი დასახლებები (PAC), რომლებიც კატეგორიების მიხედვით არიან ჩამოთვლილნი თავში 6.

PCDP წარმოადგენს დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციის გეგმას, რომლის მიზანიც მე-4 თავში ჩამოთვლილი ამოცანების შესრულებაა.

# 2 დაინტერესებულ მხარეთა ადრეული და მიმდინარე ჩართულობა

## 2.1 სხვა პროექტები

BP საქართველოში 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან მოღვაწეობს და ამ ხნის განმავლობაში მან პროექტებთან დაკავშირებით ფართო საკონსულტაციო სამუშაოები ჩაატარა დაინტერესებულ მხარეებთან. კერძოდ, ESIA-სთან დაკავშირებული საკონსულტაციო სამუშაოები ჩატარდა დაინტერესებულ მხარეებთან ისეთ განხორციელებულ პროექტებზე, როგორიცაა: „დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი“ (WREP), BTC, SCP და SCPX მილსადენები (მასთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურასთან ერთად), სუფსის ტერმინალი და არასაშიში ნარჩენების ნაგავსაყრელი რუსთავთან ახლოს. ამდენად, BP-ს უკვე ჩამოყალიბებული აქვს კარგი ურთიერთობა მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან.

BTC, SCP და SCPX პროექტების ESIA-ს განხორციელებისთვის ჩატარდა მსხვილმასშტაბიანი საკონსულტაციო პროგრამები, რომლებშიც, სხვებთან ერთად, ჩართულები იყვნენ ცენტრალური და ადგილობრივი სამთავრობო უწყებები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მილსადენის მარშრუტების გასწვრივ მდებარე დასახლებებები.

WREP, BTC, SCP და SCPX მილსადენების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული მიმდინარე კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან მოიცავს:

- რეგულარულ საინფორმაციო ურთიერთობას PAC წევრებსა და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან, მათ შორის შეხვედრებს ისეთ თემებზე, როგორიცაა მილსადენის ექსპლუატაციის საკითხი, დასახლებების უსაფრთხოება და მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული შეზღუდვების საკითხი
- საჩივრის პროცედურის შესრულებას, ინდივიდუალური, ჯგუფური თუ დასახლების საჩივრების აღრიცხვისა და მათზე რეაგირების მიზნით
- რეგულარულ დიალოგს ქვეყნის არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მდგრადი განვითარების ინიციატივების ფარგლებში
- რეგულარულ ურთიერთობებს მედია საშუალებებთან მრგვალ მაგიდასთან შეხვედრების მოწყობითა და საველე ვიზიტებით.

WREP-SR პროექტის საკონსულტაციო პროგრამა ეფუძნება WREP და BTC/SCP/SCPX პროექტებში მიღებულ გამოცდილებას და უკვე კარგად ჩამოყალიბებულ ურთიერთობას BP–ის და დაინტერესებულ მხარეებს შორის.

## 2.2 კონსულტაციები WREP-SR პროექტის შესახებ

WREP-SR პროექტის ESIA-ს სამუშაოები 2009 წელს დაიწყო. მას შემდეგ მუდმივად მიმდინარეობს მილსადენის, მეწყერების და მდინარეების მონიტორინგი და WREP-ის ფარგლებში განხორციელდა მცირე მასშტაბის სამუშაოები. WREP-SR პროექტის ტექნიკური სამუშაოების მოცულობა მონიტორინგის პროგრამების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ამ პერიოდის განმავლობაში შეიცვალა.

SCPX ESIA-ის დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის პროგრამის დროს (2009-2012) ასევე წარმოდგენილი იყო თავდაპირველი ინფორმაცია WREP-SR პროექტის შესახებ. ამ პროგრამაში სხვებთან ერთად ჩართული იყო ცენტრალური და ადგილობრივი

სახელისუფლებო ორგანოები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მილსადენის მარშრუტის გასწვრივ არსებული დასახლებები საქართველოში.

WREP-SR პროექტის ESIA-სთვის კონსულტაციები ჩატარდა 2016 წლის დასაწყისში WREP-SR ESIA-სთვის ინფორმაციის შესაკრებად. შემდგომი კონსულტაციები ESIA ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვის პროცესის ფარგლებში ჩატარდა 2016 წლის ივნისში, ESIA-ს საბოლოო ანგარიშის მოსამზადებლად ინფორმაციის მოპოვებისთვის.

# 3 პროექტის აღწერა

## 3.1 დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების (WREP-SR) პროექტი

საქართველოში WREP მილსადენის ექსპლუატაციას ახორციელებს BP საქართველოს მილსადენი კომპანიის (GPC) სახელით და ამჟამად იგი გეგმავს მილსადენის გარკვეული მონაკვეთების მარშრუტის შეცვლას და ჩანაცვლებას, რომლის მიზანია მილსადენის მეშვეობით აზერბაიჯანიდან შავ ზღვაზე განლაგებულ სუფსის ტერმინალში ნავთობის უსაფრთხოდ ტრანსპორტირება.

საქართველოში შემოთავაზებული სამუშაოებია:

- მარშრუტის შეცვლა მილსადენის სამი მონაკვეთებისათვის, რომელიც არასტაბილური ფერდობების მახლობლად გადის
- მდინარის სუფსის ორი კვეთის შეცვლა, რათა შემცირდეს მდინარის კალაპოტის ეროზიის გამო მილსადენზე ზემოქმედების რისკი.

ძირითადი სამუშაოების დაწყება, ამჟამად, 2016 წლის ბოლოს არის დაგეგმილი, რომელიც გეგმის მიხედვით, 2019 წელს დასრულდება. ცვლილებების შედეგად არ შეიცვლება მილსადენის ამჟამინდელი გამტარიანობა და იგი კვლავ დღეში 140,000 ბარელი იქნება.

ახალი მონაკვეთების სიგრძე 500 მეტრიდან 7.8 კილომეტრამდეა, ხოლო მთლიანი სიგრძე კი 13.6 კილომეტრს აღწევს. ახალი მილები არსებულ მილსადენთან მაქსიმალურად ახლოს იქნება განლაგებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მილსადენის შეცვლილი მარშრუტი გვერდს უვლის მეწყრებს. არსებულიე WREP–ის ადგილები და შემოთავაზებული ახალი მონაკვეთები ნაჩვენებია ქვემოთ (იხ. სურათი 1).

**სურათი 1: WREP-SR პროექტთან დაკავშირებული სამუშაოების ადგილმდებარეობა**

## 3.2 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება (ESIA)

WREP-SR ESIA განსაზღვრავს პროექტის შესაძლო ზემოქმედებას ბუნებრივ გარემოსა და ახლო მცხოვრება ადამიანებსა და დასახლებებზე. ESIA-ს კვლევის შედეგები გათვალისწინებული იქნება საინჟინრო პროექტისა და სხვადასხვა საკითხების დროს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (BP-სა და საქართველოს მთავრობის მარეგულირებელი ორგანოების მიერ), რომელიც წარმოაჩენს პროექტთან დაკავშირებულ ძირითად ბუნებრივ გარემოსა და სოციო-ეკონომიკურ საკითხებს; იგი ხელს შეუწყობს ზემოქმედების შემცირების, მართვისა და მუდმივი მონიტორინგისათვის საჭირო ეფექტური პროცესების განხორციელებას.

WREP ESIA პროცესი მოიცავდა შემდეგს:

**პროექტის სკრინინგი** (BP-ს მოთხოვნების შესაბამისად): სკრინინგის დანიშნულებაა დროულად გამოავლინოს ბუნებრივი და სოციალური გარემოს ძირითადი საკითხები და მათზე პროექტის შესაძლო ზემოქმედება. შედეგად შეიქმნება პროექტის განმავლობაში მოსაგვარებელი პოტენციური ზემოქმედების პრიორიტეტების ჩამონათვალი.

**პროექტის სამუშაოს მოცულობის განსაზღვრა,** რათა გამოვლინდეს WREP-SR პროექტთან დაკავშირებული ბუნებრივი გარემოს და სოციალური საკითხები და შესაბამისად, ის ძირითადი საკითხები, რომლებიც ESIA ანგარიშში უნდა იქნას განხილული. დანაკლისი ინფორმაციისა და დამატებითი კვლევისთვის საჭირო მოთხოვნების განსაზღვრის მიზნით განხილული იქნა მონაცემთა არსებული წყაროები. ამ ეტაპზე ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები გაიმართა მთავრობის ძირითად დაინტერესებულ პირებთან.

**სოციო-ეკონომიკური და ბუნებრივი გარემოს ფონური მდგომარეობის შესწავლა:** სამუშაოს მასშტაბის განსაზღვრის მიხედვით ჩამოყალიბდა WREP-SR მიმდებარე ტერიტორიის სოციო-ეკონომიკური და ბუნებრივი გარემოს ფონური მდგომარეობის დეტალური აღწერა. იგი მოიცავს ბიოფიზიკური და სოციალური გარემოს საშიში მდგომარეობის შესახებ არსებულ ინფორმაციას. აღნიშნული ფონური მდგომარეობა განსაზღვრავს იმ ძირითად ათვლის წერტილს, რომლის მიხედვითაც პროექტის განმავლობაში ბუნებრივი და სოციალური გარემოს ცვლილების მონიტორინგი განხორციელდება. WREP-SR მარშრუტის არსებული ფონური მონაცემების განახლდა საველე კითხვარების მეშვეობით, რომელიც არასაკმარის მონაცემთა შევსებისკენ არის მიმართული.

**ზემოქმედების შეფასება:** WREP–SR პროექტის პოტენციური ზემოქმედების პროცესის დროს გამოვლენილი ყველაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების განხილვა. ეს პროცესი მოიცავდა ბუნებრივ და სოციო-ეკონომიკურ გარემოზე ზემოქმედების ხასიათის, სიძლიერის და მნიშვნელობის შეფასებას. შეფასების პროცესის დროს იდენტიფიცირებული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ზემოქმედებები - განსაკუთრებით სენსიტიურ გარემოზე ან დაუცველ სოციალურ ჯგუფებზე ზემოქმედებების ჩათვლით, უფრო დეტალურად იქნა განხილული. ზემოქმედების შეფასების სამუშაოების ფარგლებში, აგრეთვე განხილული იქნა ერთობლივი და ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებაც.

**ESIA ანგარიშის პროექტი:** ESIA-ს ანგარიშის პროექტი წარედგინა საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას (GOGC), რომელმაც დოკუმენტი

კომენტარებისათვის გაუგზავნა შესაბამის სამთავრობო სამინისტროებს, გარემოსა და ბუნებრივი რესუსრების დაცვის სამინისტროს ჩათვლით. ESIA ანგარიშის პროექტის ასლები უშუალოდ გადაეცა ძირითად დაინტერესებულ მხარეებს, ხოლო ანგარიშის პროექტი, თანდართული არატექნიკური რეზიუმე და ტექნიკური რეზიუმე ხელმისაწვდომი იყო საჯარო ადგილებში, როგორიცაა რეგიონების, მუნიციპალიტეტების და სოფლების ლიდერების ოფისები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში. საკონსულტაციო ეტაპის დროს საჯარო შეხვედრებიც ჩატარდა, სადაც დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდათ ინფორმაცია ESIA-ს შედეგების შესახებ და მოხდა მათი მოსაზრებების გათვალისწინება.

**ESIA საბოლოო ვერსია:** ESIA-ს ანგარიშის პროექტის ირგვლივ გამართული კონსულტაციების შემდეგ მომზადდება წინამდებარე ანგარიშის საბოლოო ვერსია, სადაც შეძლებისდაგვარად, გათვალისწინებულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ გამოთქმული კომენტარები და მათ მიერ წამოჭრილი საკითხები. ანგარიში მოიცავს კონსულტაციის პროცესში მიღებულ შენიშვნებსა და პასუხებს, რომელიც WREP-SR ESIA და ESIA ანგარიშის პროექტთანაა დაკავშირებული (იხ. დანართი C2).

**დამტკიცება:** ESIA კვლევებიდან და იმ შეთანხმებიდან გამომდინარე, რომლებიც ზემოქმედების მართვისთვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას ეხება, საქართველოს სამთავრობო ორგანოები (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ასევე GOGC HGA-ის მიხედვით) გადაწყვეტენ, უნდა გაიცეს თუ არა საჭირო თანხმობები და ნებართვები. ნავარაუდევია, რომ GOGC დაადასტურებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემულ თანხმობას, როგორც ეს წარსულში ხდებოდა.

დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაცია ESIA-ს პროცესის განუყოფელი ნაწილი იქნება, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ (იხ. სურათი 2).




**სურათი 2: ESIA-ს პროცესი**

# 4 კონსულტაციის და საჯარო განხილვის ამოცანები

WREP-SR საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმას (PCDP) შემდეგი სტრატეგიული და ოპერატიული ამოცანები გააჩნია:

- პროექტის ყველა დაინტერესებული მხარის გამოვლენა და მათი დაინტერესებისა და ჩართულობის განსაზღვრა პროექტის განხორციელების და ზემოქმედების მართვის მიზნით
- პროექტის დაინტერესებული მხარეებისათვის კულტურულად მისაღები, ადექვატური და დროული ინფორმაციის მიწოდება პროექტის განვითარებისა და ზემოქმედების შეფასების შესახებ
- პროექტის დაინტერესებული მხარეებისათვის კულტურულად მისაღები და დროული შესაძლებლობის მიცემა, რათა თავიანთი მოსაზრება გამოხატონ ESIA-სა და პროექტის შესახებ. აღნიშნული მოსაზრებების საჭიროებისამებრ გათვალისწინებას ESIA-სა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში
- WREP-SR პროექტის ჯგუფისთვის კომენტარების მიწოდება და ეროვნული და საერთაშორისო დაინტერესებული მხარის გამოხმაურება
- დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ეფექტური და მნიშვნელოვანი საფუძვლის შექმნა, რომელიც პროექტისა და ზემოქმედების მართვის პროგრამებისადმი მათი ინტერესის გაღვივების წინაპირობა ხდება
- WREP-ის ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულებისა (HGA) და მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ხელშეკრულებასთან (PCOA) შესაბამისობის უზრუნველყოფა
- იმის უზრუნველყოფა, რომ პროექტის ირგვლივ გადაწყვეტილებების მიღების დროს შეძლებისდაგვარად გათვალისწინებული იქნას დაინტერესებულ მხარეთა საჭიროებები, პრიორიტეტები და მოსაზრებები
- პროექტის დამტკიცებისა და ნებართვების მიღების, ან საოპერაციო პროცესებისა და მოწყობილობების ხელახალი შემუშავებისთვის დროის თვალსაზრისით დაგვიანებების შემცირება. საკონსულტაციო პროცესი უზრუნველყოფს პროექტის შექმნისა და შეთანხმებული ზემოქმედების მართვის სტრატეგიების პროცესების უწყვეტობას
- დაინტერესებული მხარეებისთვის პროექტის კორპორატიული და ოპერატიული მიზნების, ასევე მოთხოვნების განმარტება და მათი დარწმუნება პროექტის მიერ რისკის საჭიროებისამებრ მოგვარების შესაძლებლობაზე.

თუმცა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა ESIA ანგარიშის საბოლოო ვერსიის დამტკიცების შემდეგაც გაგრძელდება.

შერჩეულ სამშენებლო კონტრაქტორებს მოეთხოვებათ პროექტის სახელით უზრუნველყონ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა, ხშირად BP-სთან ერთად, კონტრაქტორთა ESMS-ის ფარგლებში. აღნიშნული მექანიზმის გამოყენებით, ადგილობრივი მოსახლეობა და პროექტის სხვა დაინტერესებული მხარეები WREP-SR საჩივრების მექანიზმის შესახებაც იქნებიან ინფორმირებულები.

# 5 მარეგულირებელი და პოლიტიკური კონტექსტი

კონსულტაციები დაინტერესებულ მხარებთან, რომლებიც წარმოდგენილია PCDP-ში და გამიზნულია საქართველოში WREP–SR პროექტის მხარდაჭერისთვის, უნდა შეესაბამებოდეს:

- WREP ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულების (HGA) მოთხოვნებს; უფრო კონკრეტულად კი, მის დანართს 1, „მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ხელშეკრულებას“ (PCOA), რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს პროექტის განხორციელება, ქართული კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით (ამ შემთხვევაში, საუბარია ბუნებრივი გარემოს ზემოქმედების შეფასებაზე) და ნავთობის ინდუსტრიის საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით
- ევროკომისიის დირექტივას 2011/92/EU საზოგადოებრივი და კერძო პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ.

იმისათვის, რომ განისაზღვროს ნავთობის ინდუსტრიის მოწინავე საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა, ESIA კონსულტაციებთან მიმართებით WREP-SR პროექტი ძირიადად ითვალისწინებს IFC-ს შესრულების სტანდარტს *1: ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე რისკების და საფრთხეების შეფასება და მართვა* (საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია) [1].

საკანონმდებლო და მარეგულირებელი კონტექსტი, ასევე შესაბამისი სტანდარტები დეტალურად ESIA-ს მე-6 თავშია აღწერილი. პროექტმა გამოავლინა, რომ საკანონმდებლო, პოლიტიკური და ადმინისტრაციული სტრუქტურა, რომელიც ზემოთაა აღწერილი, ხელს უწყობს დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის პრინციპების და მიზნების განხორციელებას, რომელიც წინამდებარე PCDP-ს შესავალშია (თავი 1) აღწერილი: რომ დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია გამჭვირვალედ და სიღრმისეულად მოხდება, რათა უზრუნველყოფილი იქნას მათი წვლილი პროექტის შემუშავებისა და აღსრულების დროს, განსაკუთრებით კი ESIA კონტექსტში. ამგვარად, მინიმუმამდე იქნება დაყვანილი უარყოფითი ზემოქმედება ადამიანებსა და ბუნებრივ გარემოზე, ხოლო პოტენციური სარგებელი მაქსიმალურად გაიზრდება.

[1] გარდა ამისა, გათვალისწინებული იქნა რეკომენდაციები, რომლებიც მოცემულია შემდეგ დოკუმენტში: IFC (2006) *მიღებული გამოცდილება: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მილსადენის პროექტი,* ნომერი 2. ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი: IFC. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკვე „არქივის“ დოკუმენტად ითვლება, გათვალისწინებული იქნა IFC-ს *'საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმის მომზადების მითითებები',* ბუნებრივი და სოციალური გარემოს მიმოხილვის პროცედურის სახელმძღვანეო, შენიშვნა F.

# 6 დაინტერესებული მხარეები

WREP-SR ESIA პროცესის დროს გამოიყენება „დაინტერესებული მხარის“ შემდეგი განსაზღვრება: *ნებისმიერი ორგანიზაცია, ჯგუფი თუ კერძო პირი, რომელიც რაიმე სახით დაკავშირებულია არსებულ პროექტთან, ან შეუძლია პროექტზე ზემოქმედების მოხდენა.* აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, სამინისტროები და სააგენტოები, ადგილობრივი სამთავრობო სტრუქტურები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები (მათ შორის, სათემო ჯგუფები, როგორიცაა შემოსავლის მიმღები ჯგუფები) და ცალკეული მცხოვრებნი - ყველა დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენს.

ESIA საკონსულტაციო პროცესში დაინტერესებული მხარის მონაწილეობის ბუნება და ინტენსივობა პროცესის სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული იქნება. საკონსულტაციო პროცესის დროს WREP-SR ჯგუფის მიზანი იყო, რომ საკონსულტაციო პროცესს დაეკმაყოფილებინა დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრის ინფორმაციული და მონაწილეობისთვის საჭირო მოთხოვნები.

ESIA პროცესის დაწყებისთანავე BP-მ გამოავლინა ის ძირითადი დაიტნერესებული მხარეები, რომლებთანაც კონსულტაცია პროექტის სხვადასხვა ეტაპებზე განხორციელდებოდა:

- ცენტრალური, რეგიონალური და ადგილობრივი სამთავრობო სტრუქტურები
- პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები (დასახლებები, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ ხვდება WREP-SR პროექტის კომპონენტების, მაგ, შეცვლილი მარშრუტის მონაკვეთებისა თუ მოსასვლელი გზებიდან განსაზღვრული მანძილის ფარგლებში)
- საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორაგნიზაციები
- სამეცნიერო საზოგადოება
- BP-ს თანამშრომლები
- WREP-SR პროექტის დაინტერესებული მხარეები.

## 6.1 ცენტრალური და ადგილობრივი სამთავრობო სტრუქტურები

ქვემოთ მოცემულია ცენტრალური მთავრობის წარმომადგენელი დაინტერესებული მხარეები, რომლებიც დაყოფილნი არიან დამტკიცების პროცესში ფორმალური როლის მქონე და WREP-SR პროექტში აღიარებული ინტერესის მქონე მხარეებად.

1. **ცენტრალური მთავრობის წარმომადგენელი დაინტერესებული მხარეები, რომელთაც ფორმალური როლი გააჩნიათ ESIA დამტკიცების პროცესში:**

- *გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, რომელიც საქართველოში გარემოს საკითხებზე მომუშავე ძირითადი დაწესებულებაა. სამინისტროში ორი განყოფილებაა: გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სააგენტო და ნაკრძალების დეპარტამენტი.*

- *საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია (GOGC) - საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი საქართველოში განხორციელებულ კასპიის ნავთობის/გაზის ტრანსპორტირების პროექტებში.*

2. **ცენტრალური მთავრობის წარმომადგენელი დაინტერესებული მხარეები, რომელთაც შესაბამისი ინტერესი გააჩნიათ WREP-SR პროექტის მიმართ:**

- *ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო*
- *ენერგეტიკის სამინისტრო, რომელიც მოიცავს ბუნებრივი რესურსების სააგენტოს (რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს სატყეო დეპარტამენტს), გარემოს დაცვის მონიტორინგის ინსპექცია, გარემოსდაცვითი საგამოძიებო დეპარტამენტი*
- *სოფლის მეურნეობის სამინისტრო (საირიგაციო დეპარტამენტი)*
- *კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო (რომელიც მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს)*
- *ეროვნულ საკომუნიკაციო კომისიას*
- *შინაგან საქმეთა სამინისტრო*
- *რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (გზები; მდინარეების დაცვის დეპარტამენტი)*
- *იუსტიციის სამინისტრო და მისი სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტო*

ადგილობრივი მთავრობის დაინტერესებული მხარეები წარმოადგენენ დანიშნული და არჩეული ოფიციალურ პირებს იმ რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში, სადაც პროექტის საქმიანობა განხორციელდება. რეგიონალური და ადგილობრივი მთავრობის ახლანდელი სტრუქტურა მოცემულია ქვემოთ (იხ. ცხრილი 1) და დანართში A.

**ცხრილი 1: ადგილობრივი მთავრობის სტრუქტურა**

| სამთავრობო სტრუქტურა | არჩეული წარმომადგენლები | დანიშნული წარმომადგენლები |
|---|---|---|
| სახელმწიფო | პრეზიდენტი<br>პარლამენტი | პრემიერ მინისტრი, მინისტრები |
| რეგიონები | | რეგიონალური გუბერნატორი |
| თვითმმართველი ქალაქები | ქალაქის საბჭო - *საკრებული* | მერი |
| მუნიციპალიტეტები | საკანონმდებლო ორგანო - საკრებულო<br>ხელმძღვანელი - საკრებულოს თავმჯდომარე | აღმასრულებელი საბჭო - *გამგეობა:* წევრები ინიშნება *გამგებლის* მიერ<br>ხელმძღვანელი - *გამგებელი:* ინიშნება *საკრებულოს* თავმჯდომარის მიერ *საკრებულოსთან* შეთანხმებით |
| ქალაქები[1] | მუნიციპალიტეტის *საკრებულოში* არჩეული წარმომადგენელი | მუნიციპალიტეტის გამგებლსი წარმომადგენელი |
| ტერიტორიული ორგანო [2] | მუნიციპალიტეტის *საკრებულოში* არჩეული წარმომადგენელი | მუნიციპალიტეტის გამგებლსი წარმომადგენელი |

[1]ქალაქები, რომლებიც არ არის თვითმმართველობის ერთეული, წარმოადგენს მუნიციპალიტეტების შემადგენელ ნაწილს და განიხილება, როგორც ტერიტორიული ორგანოს ექვივალენტი
[2]ტერიტორიული ორგანო, შესაძლოა, ერთი სოფლისგან შედგებოდეს, მაგრამ ხშირად რამდენიმე სოფელს აერთიანებს

აქედან გამომდინარე, პროექტის ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებად შემდეგი ადგილობრივი ორგანოები გამოვლინდა:

- იმერეთის და გურიის რეგიონები
- თბილისი
- თბილისის, კორბოულის, მანდაეთის, სვერის, ნიგოზეთის სუფსის და ღრმაღელეს ტერიტორიული ორგანოები.

## 6.2 პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები

მიმდინარე სამუშაოების მოცულობისთვის თხუთმეტი ქალაქი და სოფელი განისაზღვრა, როგორც პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლება (PAC). პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლება (BTC/SCP/SCPX ESIA-ების პროცესში გამოყენებული განმარტების განახლებული ვერსიის მიხედვით) განისაზღვრება (BTC/SCP ESIA-ების პროცესში გამოყენებული განმარტების განახლებული ვერსიის მიხედვით), როგორც დასახლებული პუნქტი, რომელიც მდებარეობს ქვემოთ მოცემულ საზღვრებს შიგნით, ან გააჩნია ერთი დასახლებული შენობა-ნაგებობა მაინც, რომელიც მდებარეობს ამ საზღვარზე/საზღვრებს შიგნით:

- მილსადენი: 2კმ ღერძის ორივე მხარეს, რაც მთლიანობაში 4კმ სიგანის ზონას შეადგენს
- მისასვლელი გზები (ახალი ან განახლებული; დროებითი ან მუდმივი): 300მ ღერძის ორივე მხარეს, რაც მთლიანობაში 600მ სიგანის ზონას შეადგენს.

პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების (PAC) განსაზღვრის მიზნით გამოყენებულ იქნა ორი მიდგომა. უპირველეს ყოვლისა, ზემოთ ჩამოთვლილი სასაზღვრო კრიტერიუმები; მეორე, აღნიშნულ საზღვრებს მიღმა იმ დასახლებების გათვალისწინება, რომლებიც მათ სიახლოვეს მდებარეობს. ამგვარი დასახლებების განხილვა ინდივიდუალურად განხორციელდა და ESIA-ს ჯგუფის მიერ, წინა გამოცდილებისა და არსებული მონაცემებიდან გამომდინარე, იქნა მიღებული გადაწყვეტილება, გათვალისწინებულიყო მოცემულ PAC-ებზე ზეგავლენის შესაძლებლობა.

აღნიშნული სამუშაო ESIA-ს ჯგუფმა BP-ს სოციალური და მიწის სპეციალისტების დახმარებით ჩაატარა. ყოველი შემთხვევის ანალიზის შედეგად მიიღებოდა გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო განსაზღვრულ საზღვრებს მიღმა მდებარე დასახლებული პუნქტის პროექტის PAC-ად მიჩნევა.

WREP-SR-ის PAC-ების ჩამონათვალი მოცემულია ქვემოთ (იხ. ცხრილი 2). ჩამონათვალი კიდევ გადაისინჯება და განახლდება მას შემდეგ, რაც WREP-SR ქმედებების ადგილმდებარეობის საბოლოო დეტალები გაირკვევა.

პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებულ პუნქტებთან კონსულტაცია ESIA კონსულტაციის პროცესის ძირითადი მახასიათებელია, ხოლო მოსახლეობასთან კონსულტაციები ESIA-ს შემდეგაც გაგრძელდება მშენებლობისა და განახლებული მილსადენის ექსპლუატაციის პროცესში.

**ცხრილი 2: პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები**

| რეგიონი/ქალაქი | რაიონი ქალაქი | ტერიტორიული ორგანო | პრეოქტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლება | მონაკვეთი |
|---|---|---|---|---|
| თბილისი | თბილისი | გლდანი | სოფელი გლდანი<br>გლდანულა<br>ავჭალა | RR-001 და AR-ები |

| რეგიონი/ქალაქი | რაიონი ქალაქი | ტერიტორიული ორგანო | პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლება | მონაკვეთი |
|---|---|---|---|---|
| მცხეთა-მთიანეთი | მცხეთა | ცხვარიჭამია | მამკოდა | AR-ები RP-001a მონაკვეთზე და RR-001 |
| იმერეთი | საჩხერე | კორბოული | შომახეთი | AR - PRS1 |
| | საჩხერე | კორბოული | კორბოული | AR - PRS1 |
| | ჭიათურა | მანდაეთი | ტყემლოვანა | RR-004a |
| | ჭიათურა | მანდაეთი | მანდაეთი | AR223 |
| | ჭიათურა | სვერი | სვერი | RR-004a |
| | ჭიათურა | ნიგოზეთი | წყალშავი | AR - PRS1 |
| | ჭიათურა | ნიგოზეთი | უსახელო | AR - PRS1 |
| | ჭიათურა | ნიგოზეთი | ზედა ბერეთისა | AR - PRS1 |
| გურია | ლანჩხუთი | სუფსა | ხიდმაღალა | სუფსის კვეთა |
| | ლანჩხუთი | ღრმაღელე | წყალწმინდა | სუფსის კვეთა |
| | ლანჩხუთი | სუფსა | გრიგოლეთი | სუფსის კვეთა |

## 6.3 საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები

ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც წარსულში მონაწილეობა აქვთ მიღებული აუდიტისა და მონიტორინგის პროგრამებში და რომლებმაც აქტიური ინტერესი გამოამჟღავნეს BP-ს საქართველოში საქმიანობის მიამრთ, არასამთავრობო ორგანიზაციების წრეებთან ერთად პროექტის მთავარ დაინტერესებულ მხარეებად ითვლებიან. „BP საქართველოს“ გააჩნია იმ არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემთა ბაზა და იცის მათი ინტერეს(ებ)ის სფერო, რომლებიც წარსულში ან ახლა ჩაბმული ან დაინტერესებულნი იყვნენ/არიან BP-ს საქმიანობით. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც განსაკუთრებითაა დაკავშირებული WREP-SR პროექტთან, არის UNESCO, რომელიც პასუხისმგებელია, სხვა საქმიანობებთან ერთად, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის სტატუსის მინიჭებაზე. UNESCO-სთან ჩატარდა კონსულტაციები ჯვრის მონასტრის (მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის ნაწილი) სიახლოვესთან ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ.

საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციის წრეებს, ასევე, გააჩნიათ ინფორმაციის გაცვლის/გაზიარების ქსელები და ჰყავთ პარტნიორი ორგანიზაციები, მათ შორის:

- კავკასიის გარემოს დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი (http://www.cenn.org/index.php)
- კავკასიის რეგიონული გარემოს დაცვის ცენტრი (http://www.rec-caucasus.org/index.php?lang=eng)
- ევრაზიის პარტნიორობის ფონდი (http://www.epfound.ge/english/about-us.html)

არასამთავრობო ორგანიზაციების არსებული შიდა მონაცემთა ბაზები და/ან არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელები და პარტნიორობები, როგორც

დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი, მოთხოვნის შესაბამისად, ჩაბმულნი იყვნენ WREP-SR პროექტის კონსულტაციებში.

## 6.4 სამეცნიერო საზოგადოება

აღიარებულ იქნა, რომ სამეცნიერო საზოგადოება უნდა ჩაერთოს WREP-SR პროექტში, რადგან ამ საზოგადოების წევრებს შეუძლიათ მთავრობის მარეგულირებელი ორგანოების თანამშრომლებს კონსულტაცია გაუწიონ და რჩევა მისცენ ESIA ანგარიშის განხილვის პროცესში, ასევე „დამტკიცების“ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მათ ასევე შეუძლიათ ზოგადად წვლილი შეიტანონ ESIA პროცესში.

საქართველოში სამეცნიერო წრეების ბევრი წარმომადგენელი არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობს, რადგან ეს არასამთავრობო ორგანიზაციები სამეცნიერო კვლევების პროექტებში არიან ჩართულნი. სამეცნიერო საზოგადოების ჩაბმა მოხდება ინფორმაციის გაზიარებით არასამთავრობო ორგანიზაციების და GOGC–ს საშუალებით. (ანუ ვინც ESIA-ს ფორმალურად ამტკიცებს).

## 6.5 საინფორმაციო საშუალებები

BP-ს ურთიერთობა აქვს მედია ორგანიზაციებთან, რომლებიც მონაწილეობენ რეგულარულ ბრიფინგებსა და ინფორმაციის განახლებებში, როცა BP აცნობებს მათ საქართველოში თავისი საქმიანობის შესახებ. პროექტის შესახებ ინფორმაცია არსებული არხებით ვრცელდება. დამატებითი მედია ორგანიზაციების ჩართვა მოხდება არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელების შესახებ ინფორმაციის გაზიარების გზით (ამ ქსელებთან სხვადასხვა მედია ორგანიზაცია თანამშრომლობს).

## 6.6 BP-ს პერსონალი

BP-ს თანამშრომლები WREP-SR პროექტის პარტნიორებად არიან მიჩნეულნი და მათ რეგულარულად ეცნობებათ ინფორმაცია პროექტის პროცესის შესახებ.

## 6.7 WREP-SR პროექტის პარტნიორები

WREP-SR პროექტის პარტნიორები, ასევე წარმოადგენენ WREP-SR პროექტის დაინტერესებულ მხარეებს და შესაბამისად, ინფორმაციას რეგულარული ინტერვალებით მიიღებენ, უფრო კონკრეტულად კი, ყოველკვარტალური შეხვედრების დროს.

# 7 მეთოდოლოგია

წინამდებარე თავში აღწერილია WREP-SR პროექტის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან საკონსულტაციო საქმიანობის მეთოდოლოგია და განმარტებულია მათი კავშირი ESIA-ს პროცესთან. კონსულტაციის ეტაპები მოცემულია ქვემოთ (იხ. სურათი 3).

**სურათი 3: ESIA კონსულტაციის ეტაპები**

## 7.1 კონსულტაციის მეთოდები

ESIA-ს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროცესში დაინტერესებულ მხარეთა განსხვავებული საჭიროებიდან გამომდინარე გამოყენებული იქნება კომუნიკაციისა და საკონსულტაციო მეთოდების ფართო სპექტრი. მიღწევები და ვადები მოცემულია ქვემოთ (იხ. ცხრილი 3).

**ცხრილი 3: კონსულტაციის მიდგომა და ვადები**

| დაინტერესებული მხარე | კონსულტაციის ტიპი |
|---|---|
| ცენტრალური მთავრობა | ორი პირისპირ განხორციელებული შეხვედრა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან ESIA-ს სხვადასხვა ეტაპზე<br>ერთი პირისპირ განხორციელებული შეხვედრა საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასთან<br>ერთი პირისპირ განხორციელებული შეხვედრა NACHP-თან<br>გარდა ამისა, საჭიროებისამებრ რეგულარული პირისპირ განხორციელებული შეხვედრები პროექტის სხვადასხვა საკითხების შესახებ. |
| ადგილობრივი მთავრობა (მაგ. რეგიონალური, მუნიციპა-ლიტეტის წარმომადგენლები და PAC „ლიდერები“) | პირისპირ საკონსულტაციო შეხვედრები ადგილობრივი მთავრობის ყველა დონეზე, მათ შორის PAC-ებთნ (იხ. ქვემოთ) |
| PAC-ები | საკონსულტაციო შეხვედრები მოსახლეობის ძირითად წარმომადგენლებთან[2] ყველა PAC-ში (ყველა დასახლებაში დაახლოებით 5, მათ შორის იმ ტერიტორიული ორგანოს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელთან, რომელშიც შედის კონკრეტული PAC)<br>საჯარო განხილვის დროს შემდგომი შეხვედრები რეგიონებში/მუნიციპალიტეტებში |
| არასამთავრობო ორგანიზაციები | ერთი საკონსულტაციო შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომელიც თბილისში გაიმართება საჯარო განხილვის შემდეგ |
| სამეცნიერო საზოგადოება | სამეცნიერო საზოგადოების წევრები არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის გამართულ შეხვედრაზე იქნებიან მოწვეულები |
| საინფორმაციო საშუალებები | ცენტრალურ და რეგიონალურ მედიასთან კონსულტაციები ESIA ანგარიშის სამუშაო ვარიანტის გაცნობის პროცესში განხორციელდება და ისინი საჯარო შეხვედრებზეც იქნებიან მოწვეულები |
| BP-ს პერსონალი | ინფორმირებულები და ჩართულები იქნებიან, რათა მოხდეს სწორი ინფორმაციის გადაცემა და თავიდან იქნას აცილებული არარეალური მოლოდინი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პროექტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების ჩათვლით |
| WREP-SR პროექტის პარტნიორები | WREP-SR მხარეებს ინფორმაცია რეგულარულად მიეწოდებათ კვარტალური შეხვედრების დროს |

გარდა ამისა, WREP-SR პროექტის რეზიუმეები და ESIA-სთან დაკავშირებული სხვადასხვა დოკუმენტები BP-ს ვებ-გვერდზე რეგულარულად განთვსდება, რაც დაინტერესებულ პირებსა თუ ორგანიზაციებს მათი ხილვის საშუალებას მისცემს.

[2] PAC წარმომადგენლები შერჩეული იყვნენ PAC ლიდერების მიერ WREP-SR ESIA ჯგუფის მიერ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით, იმისთვის, რომ მიღწეული ყოფილიყო დაბალანსებული საკონსულტაციო პროცესი, მასში ფართო სპექტრის პერსპექტივების ჩართვით. წარმომადგენლებს შორის სხვებთან ერთად შერჩეული იქნა ექიმი, მასწავლებელი, მეწარმე, მიწის მესაკუთრე და ახალგაზრდა ადამიანი; მათ შორის ერთი მაინც უნდა ყოფილიყო ქალი.

## 7.2 ბრიფინგის მასალები და შეტყობინება

პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები (PAC) და სხვა დაინტერესებული მხარეები უნდა ღებულობდნენ გარკვეულ, თანმიმდევრულ ინფორმაციას WREP-SR პროექტისა და ESIA პროცესის შესახებ. WREP-SR პროექტის ჯგუფმა პროექტისა და ESIA პროცესის შესახებ გარკვეული მასალები მოამზადა, მათ შორის:

- დასურათებული ბროშურა, სადაც მოცემულია პროექტის მიმოხილვა და რომელიც PAC-ებსა და სხვა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციის დროს იქნება გამოყენებული (აღნიშნული ბროშურის ასლი მოცემულია დანართში B)
- კითხვა-პასუხის დოკუმენტი, რომელსაც პროექტისა და ESIA პერსონალი დაინტერესებული მხარის მიერ დასმული კითხვების საპასუხოდ გამოიყენებს (განსაკუთრებით კი PAC-ებში მცხოვრებთათვის) ESIA კონსულტაციებისა და ESIA განხორციელების პროცესში ფონური კვლევების ჩათვლით).

დასურათებული ბროშურა ქართულ ენაზე მომზადდა და კონსულტაციების დაწყებამდე 1500 ცალი დარიგდა PAC-ებში. ეს რაოდენობა გაანგარიშებული იქნა ისე, რომ ყოფილიყო ბროშურების საკმარისი ასლები (მინიმუმ 1 ბროშურა ყოველ 10 ადამიანზე).

## 7.3 ESIA ანგარიშის სამუშაო ვარიანტი: საჯარო განხილვა

ESIA-ის ანგარიშის პროექტი (და თანმხლები დოკუმენტები) ხელმისაწვდომი იყო საზოგადოებრივი თავშეყრის კონრეტულ ადგილბში იმგვარად, რომ დაინტერესებულ მხარეებს მათი გაცნობისა და შენიშვნების უზრუნველყოფის შესაძლებლობა ჰქონოდათ. ასეთი ადგილები მოიცავს რეგიონული, მუნიციპალური და ადგილობრივი მთავრობის ოფისებს და თბილისის ეროვნულ ბიბლიოთეკას.

ამასთან, განსაკუთრებით PAC-ების დასახმარებლად, ESIA-ს არატექნიკური რეზიუმე (NTS) ხელმისაწვდომი იყო თითოეული ტერიტორიული ორგანოს მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელის ოფისში (ან შესაბამის ალტერნატიულ ადგილას). დასახლებებისთვის განკუთვნილი ბროშურა დარიგდა ამ ოფისებში ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში გამოხმაურების ფორმებთან ერთად, რითაც შესაძლებელი გახდა ESIA-ს ანგარიშთან/არატექნიკურ რეზიუმესთან დაკავშირებით მათი შენიშვნების მიღება და განხილვა ინფორმაციის გამოქვეყნების პერიოდში.

WREP-SR ჯგუფი თანამშრომლობდა BP-ს კომუნიკაციის დეპარტამენტთან, რათა ESIA-ს ანგარიშის პროექტის გამოსაქვეყნებლად და ანგარიშის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნების მისაღებად გამოეყენებინა მასმედია და პროექტის საკომუნიკაციო არხები.

ESIA პროცესის შესახებ ინფორმაცია, ESIA-ს ანგარიშის პროექტი (და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები), ასევე საკონსულტაციო პროცესი, ქვემოთ ჩამოთვლილი მედია და სხვა საშუალებებით გამოქვეყნდა:

- რეგიონალური და ცენტრალური გაზეთები
- პროექტის ელექტრონული ფოსტის მონაცემთა ბაზა
- BP-ს ინტერნეტ-გვერდი
- WREP-SR პროექტისა და BP საქართველოს წარმომადგენლობის თანამშრომლების, ასევე ESIA ჯგუფის პერსონალის მიერ ჩატარებული პრეზენტაციები, რომლებიც მოიცავს შეფასების პროცესში განხორციელებულ ტექნიკურ კვლევებსა და ანალიზს

- საჯარო საინფორმაციო სტენდები საჯარო შენობებში, როგორიცაა სკოლები თუ ადგილობრივი მთავრობის ოფისები, რომელიც ახლოა პროექტის საქმიანობის ძირითად პუნქტებთან. აღნიშნული პუნქტების ადგილმდებარეობა ESIA განხორციელების ფაზაზე დადგინდება
- ბროშურები, ლიფლეტები, პოსტერები და აუდიო-ვიზუალური მასალები.

WREP-SR ESIA ჯგუფმა უზრუნველყო შემდეგი:

- მასალები გამოქვეყნდა ქართულ და ინგლისურ ენებზე და იყო არატექნიკური ხასიათის
- გამოქვეყნებული მასალები იყო გასაგები და ნათალად ასახავდა WREP-SR პროექტის შემოთავაზებების დადებით და უარყოფით ზემოქმედებას
- ყველა დაინტერესებულ მხარეს გააჩნდა ინფორმაცია პუბლიკაციების/ ინფორმაციის შესახებ, ხელი მიუწვდებოდა მასალებზე და საკმაო დრო ჰქონდა აღნიშნული შემოთავაზებების განხილვისა და პასუხის გაცემისთვის
- ანგარიშის საბოლოო ვარიანტის მომზადებამდე და დაინტერესებული მხარისთვის პასუხების გაცემამდე ნებისმიერი დაპირება WREP-SR მენეჯერების მიერ იყოს დამტკიცებული.

ESIA-ს გამოქვეყნების შესახებ ეცნობა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს; მათთვის ხელმისაწვდომი იყო მასალები და საკმაო დრო მიეცათ შემოთავაზებების განხილვისა და პასუხის გაცემისთვის.

## 7.4 საჯარო შეხვედრები

საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად გაიმართა საჯარო შეხვედრები ESIA-ს შედეგების (ESIA-ს ანგარიშის პროექტის) წარსადგენად და შენიშვნების მისაღებად. საჯარო შეხვედრები გაიმართა თბილისსა და კიდევ სხვა საკვანძო ადგილებში, რომლებიც ახლოს მდებარეობს პროექტის განხორციელების ადგილთან (საჩხერე, ჭიათურა, ლანჩხუთი, მცხეთა და გარდაბანი).

WREP-SR ESIA-ს მოკლე შინაარსი და მიმდინარე და შემოთავაზებული კონსულტაციების განრიგი მოცემულია ქვემოთ (იხ. ცხრილი 4).

**ცხრილი 4: კონსულტაციის განრიგი**

| დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი | ESIA-ს კონსულტაციები 2016 წლის პირველი კვარტალი | ESIA-ს განხილვა 2016 წლის მეორე კვარტალი |
|---|---|---|
| ცენტრალური და ადგი-ლობრივი მთავრობა | შეხვედრა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და NACHP-თან (დანარჩენების ინფორმირება წერილობით მოხდება)<br><br>შეხვედრა რეგიონალურ და მუნიციპალურ მთავრობასთან | ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონური მდგომარეობის ანგარიშის წარდგენა და დამტკიცება GOGC-ის მეშვეობით<br><br>ESIA ანგარიშის პროექტის და არატექნიკური რეზიუმეს შესახებ გაკეთდა განცხადებები ცენტრალური და ადგილობრივი პრესის მეშვეობით.<br><br>მედიის მეშვეობით გამოცხადების შემდეგ 7 დღეში ანგარიშის პროექტი წარედგინა საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას, გარემოსა და |

| დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი | ESIA-ს კონსულტაციები 2016 წლის პირველი კვარტალი | ESIA-ს განხილვა 2016 წლის მეორე კვარტალი |
|---|---|---|
| | | ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (ელექტრონული და ნაბეჭდი ვერსიები).<br><br>გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მოწვეული იქნა ძირითად საჯარო შეხვედრებზე<br><br>რეგიონალურ და მუნიციპალურ მთავრობას ეცნობა საჯარო შეხვედრების შესახებ<br><br>ESIA ანგარიშის პროექტი და რეზიუმე WREP-SR პროექტის განხორციელების ძირითად პუნქტებში იყო ხელმი-საწვდომი<br><br>საჯარო შეხვედრები ჩატარდა, როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონალურ დონეზე |
| PAC-ები | 7 შეხვედრა, რომელიც მოიცავს 15 ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებას (PAC-ების უმრავლესობა კლასტერულ საკონსულტაციო შეხვედრებში მონაწილეობს, რომელიც 1-4 PAC-ს აერთიანებს) | PAC-ების მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლები მოწვეულნი არიან საჯარო შეხვედრებზე. PAC-ების მოსახლეობას მიეცემა შეხვედრებზე დასწრების საშუალება |
| არასამთავრობო ორგანი-ზაციები და სამეცნიერო საზოგადოება | | ერთი საჯარო შეხვედრა თბილისში ყველა დაინტერესებულ მხარესთან (მათ შორის მედია და მთავრობა)<br><br>მოწვევა რეგიონალურ საჯარო შეხვედრებზე |
| საინფორმაციო საშუა-ლებები | | მედიის ინფორმირება კვარტალური ანგარიშის მეშვეობით, როცა ESIA განსახილველად წარედგინება საქარ-თველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს<br><br>მოწვევა საჯარო შეხვედრებზე |

# 8 მონაცემების მართვა

WREP-ESIA ჯგუფმა შექმნა დაინტერესებული მხარეების მონაცემთა ბაზა, სადაც მოცემული იქნება მათ შესახებ ინფორმაცია, მათი მონაწილეობა საკონსულტაციო პროცესში და წამოჭრილი საკითხები. მონაცემთა ბაზა მომხმარებელს ინფორმაციის დაკავშირების, დახარისხებისა და ანალიზის საშუალებას იძლევა.

მონაცემთა ბაზაში ყოველი დაინტერესებული მხარის შესახებ შემდეგი ინფორმაციაა განთავსებული:

- დასახელება
- საკონტაქტო დეტალები
- დაინტერესებული მხარეთა ჯგუფი (მაგ. მთავრობა, არასამთავრობო ორგანიზაცია, PAC და ა.შ.)
- ძირითადი საკონტაქტო პირი (თუ დაინტერესებული მხარე ჯგუფს ან ორგანიზაციას წარმოადგენს)
- სახელი
- WREP-SR ჯგუფის ახლანდელი ან წინა საქმიანობა დაინტერესებულ მხარესთან
- დაინტერესებული მხარის კომუნიკაციის/ურთიერთობის ისტორია
- ძირითადი დაინტერესება WREP-SR პროექტისა და ESIA პროცესის მიმართ
- ზემოქმედების დონე ESIA პროცესზე და პროექტის ჩამოყალიბებაზე
- დაინტერესებულ მხარესთან კონტაქტის დონე (მაგ. წერილობითი კომუნიკაცია, პირისპირ შეხვედრები და ა.შ.)
- WREP-SR ჯგუფის წარმომადგენელი, რომელიც დაინტერესებულ მხარესთან კონტაქტზეა პასუხისმგებელი
- რაიმე მოკვლევის, ქმედებების თუ ანგარიშის შესახებ შენიშვნა, რომელიც განსაკუთრებით შეესაბამება დაინტერესებული მხარის ინტერესებს.

დაინტერესებული მხარეების მონაცემთა ბაზა დინამიური საშუალებაა, რომლის შესწორება და განახლება განხორციელდება ESIA-ს პროცესის განმავლობაში.

# 9 საჩივრების წარდგენის მექანიზმი

BP-ს შექმნილი აქვს საჩივრებისა და პრეტენზიების სამართავი მექანიზმი, რომელიც ათწლეულზე მეტია წარმატებით გამოიყენებოდა წინა პროექტების ფარგლებში. WREP-SR პროექტი ყველა ასპექტის მიმართ შეიმუშავებს ერთნაირ საჩივრების მექანიზმს, მშენებლობის წინა და მიწის შესყიდვის წინა გამოკითხვიდან დაწყებული, პროექტის მშენებლობით დასრულებული [შენიშვნა: შენიშვნები ESIA-ს შესახებ დაინტერესებული მხარეების მონაცემთა ბაზაში იქნა შეტანილი]. საჩივრების წარდგენის მექანიზმი ადგილობრივ მოსახლეობასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას აძლევს, საკუთარი მოსაზრებები წარუდგინოს BP-ს, რათა მოხდეს მათი გათვალისწინება, საჭიროებისამებრ გამოსასწორებელი ქმედებების განხორციელება, გადაწყვეტილებების მიღება და შედეგის შესახებ მომჩივნის ინფორმირება. საჩივრის წარდგენის მექანიზმის ძირითადი ელემენტები ქვემოთ არის მოცემული.

WREP-SR პროექტის ჯგუფი პასუხისმგებელი იქნება WREP-SR ESIA პროცესთან ან პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული წერილობითი თუ სიტყვიერი საჩივრების აღრიცხვაზე. ნებისმიერი საჩივარი, რომელსაც WREP-SR პროექტის ჯგუფის წევრი ან მათი კონტრაქტორი შეიტყობს, დადასტურდება პროექტის პასუხისმგებელი წევრის მიერ ორი კვირის განმავლობაში უნდა განხორციელდეს. ყველა საჩივარს პასუხი წერილობით უნდა გაეცეს, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, სიტყვიერი პასუხიც შეიძლება მისაღები იყოს (მაგალითად, თუ ადრესატმა არ იცის კითხვა).

WREP-SR პროექტის ჯგუფი პასუხისმგებელი იქნება ყოველთვიური ანგარიში მოამზადოს, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი შემოსული საჩივრების რაოდენობა და სტატუსი, და ასევე საკითხი, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს. WREP-SR ESIA-ს დროს განხორციელდება საჩივრების რაოდენობის და ტიპების, ასევე მათი მოგვარების პროცესის მონიტორინგი BP-ს მიერ.

საჩივრების რეესტრი ყოველ საჩივარს თავის ნომერს მიანიჭებს, რათა გაადვილდეს მისი მოძიება და საჭირო ქმედებების გატარება. აქ ასევე მითითებული იქნება კონკრეტულ საჩივარზე პასუხისმგებელი პირი, ასევე თარიღები და სხვა ინფორმაცია საჩივრის შესახებ. საჩივრის განხილვის ფორმა აჩვენებს, თუ რა ინფრომაციაა საჭირო საჩივრის დამუშავებისათვის.

ლოგო

## მესამე მხარის მიერ წადგენილი საჩივრის განხილვის ფორმა

| ნაწილი A: ინფორმაცია მომჩივნის შესახებ | |
|---|---|
| საჩივრის ნომერი: | |
| მიღების თარიღი: | |
| ადგილმდებარეობა: | (მაგ., სოფელის დასახებება, კმნ) |
| რაიონი: | |
| მომჩივანის სახელი: | |
| მიწის ნაკვეთის ნომერი: | (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| ტელეფონის ნომერი ან/და მისამართი: | |
| საჩივრის წარდგენის მეთოდი: | (სიტყვიერი/წერილობითი/საჯარო შეხვედრა) |
| საჩივრის მიმღები საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრის/მიწის ოფიცრის სახელი: | |
| დღიური ანგარიშის ნომერი: | (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| წერილობითი საჩივრის ნომერი: | (მაგ, შემოსული წერილის DCC ნომერი, ან მესამე მხრის მიერ მინიჭებული ნომერი) |

**ნაწილი B: საჩივრის დეტალები**
ინციდენტის თარიღი:
საჩივრის აღწერა:
დაშავდა თუ არა რაიმე? რა? როდის? როგორ? სად? რა რაოდენობით?
საგზაო მოძრაობის საკითხები - როდის მოხდა ინციდენტი? სახელმწიფო ნომერი? რა სახის ავტომობილი იყო ჩართული?
მიწის საკითხები - ნარგავების/ნათესების დაზიანება, აღდგენასთან დაკავშირებული საკითხი, დამატებითი მიწა, რა სახის ნათესები
ახლავს თუ არა საჩივარს დამხმარე დოკუმენტაცია? ასეთის არსებობის შემთხვევაში მოიპოვეთ საჭირო ასლები.

**ნაწილი C: გადაჭრის დეტალები**
აღწერეთ შეფასების დეტალები:
(ვინ ჩაატარა შეფასება, რა დაადგინეს)

დაურთეთ საჩივრის გადაჭრის რეზიუმე:
უარყოფა/კომპენსაცია/სხვა გამოსასწორებელი ღონისძიების ჩატარება (გთხოვთ, აღწეროთ)

მომჩივნისათვის წერილის მიწოდების თარიღი:
გასული კორესპონდენციის ნომერი:
მიიღო თუ არა მომჩივანმა საკითხის გადაჭრის შეთავაზებული საშუალება?
დამატებითი კომენტარები:

**სურათი 4: საჩივრის განხილვის ფორმა**

# 10 ანგარიშგება

ESIA და WREP-SR პროექტის ფარგლებში ანგარიშის სახით მომზადდება დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შედეგები. ESIA პროცესის დასრულებისას WREP-SR ESIA ჯგუფი საბოლოო ანგარიშს მოამზადებს საკონსულტაციო პროცესის შესახებ. ანგარიშში განხილული იქნება კონსულტაციები და საკომუნიკაციო აქტივობები, დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის დონე (განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი და მარგინალური ჯგუფების თვალსაზრისით), განხილული საკითხები და შედეგები, ასევე, თუ რა დონეზე აისახა დაინტერესებულ მხარეთა მიერ წამოჭრილი საკითხები, პრიორიტეტები და მოსაზრებები საბოლოო ანგარიშში, განსაკუთრებით კი თუ საქმე ბუნებრივი და სოციალური გარემოსა მართვის გეგმებში მოცემულ შემარბილებელ ღონისძიებებს და მონიტორინგის სტრატეგიებს ეხება. ანგარიშში, საჭიროებისამებრ, ასევე, აისახება მიღებული გამოცდილება.

აღნიშნული საკონსულტაციო ანგარიში WREP-SR ESIA ანგარიშის დანართს წარმოადგენს.

# დანართი A - მთავრობის იერარქია

## ცენტრალური ხელისუფლების სტრუქტურა და ორგანოები

საქართველოს პრეზიდენტი წამოაყენებს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას **საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 80 (2)–ის მიხედვით**

↓

პრემიერ– მინისტრი 7 დღის ვადაში შეარჩევს მინისტრთა კანდიდატურებს და პარლამენტს წარუდგენს საქართველოს მთავრობას (პრემიერ-მინისტრი და მინისტრები) სამთავრობო პროგრამასთან ერთად **საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 80 (3)–ის მიხედვით**

↓

საქართველოს მთავრობას ნდობა უნდა გამოუცხადოს საქართველოს პარლამენტმა. საქართველოს პარლამენტი 7 დღის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხს **საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 80 (4)–ის მიხედვით**

↓

მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრი ასევე 2 დღის ვადაში – მთავრობის სხვა წევრებს. თუ პრეზიდენტი აღნიშნულ ვადაში არ გამოსცემს სამართლებრივ აქტს პრემიერ-მინისტრის დანიშვნის თაობაზე, პრემიერ-მინისტრი დანიშნულად ჩაითვლება. **საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 80 (8)**

## ადგილობრივი ხელისფულების სტრუქტურა და ორგანოები

გუბერნატორებს ნიშნავს საქართველოს მთავრობა. **საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 81[3]**

↓

რეგიონი შედგება მუნიციპალიტეტებისგან; მუნიციპალიტეტების რაოდენობა იცვლება რეგიონების მიხედვით. თითოეულ მინიციპალიტეტს აქვს *საკრებულო* ანუ იურიდიული ტერმინოლოგიით – წარმომადგენლობითი (საკანონმდებლო) ორგანო და ჰყავს *გამგებელი/მერი* ანუ აღმასრულებელი ორგანო. **ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მუხლი 2 (2)**

↓

*საკრებულო* აირჩევა 4 წლის ვადით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ, პირდაპირი არჩევნებით. **ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მუხლი 23 (2)**

↓

*საკრებულოს* თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით ირჩევს *საკრებულო*. **ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მუხლი 33**

→

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი არის *გამგებელი/მერი*. **ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მუხლი 48**

↓

*გამგებელი/მერი* აირჩევა 4 წლის ვადით, ელექტორატის მიერ, პირდაპირი არჩევნებით, საარჩევნო კოდექსის შესაბამისად. **ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მუხლი 23 (2)**

↓

გამგეობას/მერიას ხელმძღვანელობს გამგებელი/მერი, რომელიც უზრუნველყოფს მათი უფლებამოსილების განხორციელებას. **ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მუხლი 50**

# დანართი B - დასახლებებში გასავრცელებელი საინფორმაციო ფურცელი

### ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) კვლევის შესახებ

ESIA კვლევა ჩატარდება ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად, რომელთა მიხედვითაც კვლევა უნდა შეესაბამებოდეს ევროპაში მიღებულ პრაქტიკას. კონსულტაციები ჩატარდება ადგილობრივ მოსახლეობასთან, ადგილობრივ სახელისუფლებო ორგანოებთან და თემებთან, რათა ყველა შესაძლო ზემოქმედება მინიმუმამდე შემცირდეს, ხოლო სარგებელი შესაბამისად იქნას გამოყენებული. ESIA-ს ასევე გამოიყენებს საქართველოს მთავრობა პროექტისათვის მშენებლობის ნებართვების გაცემის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების დროს.

### ინფორმაციის განსაჯაროებისა და კონსულტაციის პროცესის შესახებ

ESIA კვლევა მოიცავს თავდაპირველი კონსულტაციების პროგრამას თემების ლიდერებთან და შემოთავაზებული გამოსაცვლელი სექციების და მისასვლელი გზების მახლობლად ქალაქებსა და სოფლებში არსებულ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რის შემდეგაც განხორციელდება ESIA საჯარო განხილვის პროცესი.

### თქვენი წვლილი

თავდაპირველი საკონსულტაციო შეხვედრების სერია უკვე დაწყებულია. თუ თქვენ გაქვთ რაიმე შენიშვნები, შეხედულებები და მოსაზრებები შემოთავაზებული პროექტის ან შესაძლო ზემოქმედებების შესახებ და გსურთ, რომ ისინი განხილული იქნას ESIA-ს ფარგლებში, გთხოვთ წარმოადგინოთ ისინი სიტყვიერი ან წერილობითი სახით ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოების ოფისში (გამგეობა). თქვენი შენიშვნები, შეხედულებები და მოსაზრებები მიეწოდება ჯგუფს, რომელიც ახორციელებს ESIA-ს. ამ გზით თქვენ დაგვეხმარებით იმაში, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა ყველა შეხედულება იქნას განხილული პროექტის საინჟინრო დაპროექტებისა და დაგეგმვის ფაზებზე.

გთხოვთ თქვენი შენიშვნები, შეხედულებები და მოსაზრებები წარმოადგინოთ ამ ბროშურის მიღებიდან ერთი კვირის მანძილზე.

### BP-ს შესახებ

BP მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ენერგოკომპანიაა და ოპერირებს 80-ზე მეტ ქვეყანაში. BP-მ საქართველოში საქმიანობა პირველად დაიწყო 1996 წელს და მისი პარტნიორების სახელით ამჟამად საქართველოში ახორციელებს სამი მსხვილი მილსადენის ექსპლუატაციას: დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი (WREP), ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) ნავთობსადენი და სამხრეთ კავკასიური გაზსადენი (SCP). BP ასევე ახორციელებს SCP მილსადენის გაფართოების პროექტს (SCPX). უსაფრთხო და სანდო ოპერირება BP-ს უმთავრესი პრიორიტეტია.


### საკონტაქტო მონაცემები:

BP Exploration (Caspian Sea) Ltd Georgia
სულხან ცინცაძის ქუჩა #24
0160 თბილისი, საქართველო
ტელ.: 2593400


# დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი
# სექციური ცვლილებების პროექტი, საქართველო

**BP წარმოადგენს დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (WREP) ოპერატორ კომპანიას საქართველოში, რომელიც მოქმედებს საქართველოს მილსადენის კომპანიის (GPC) სახელით და გეგმავს მილსადენის გარკვეული სექციების გამოცვლას და/ან მილსადენის სექციების მარშრუტის შეცვლას. პროექტის მიზანია აზერბაიჯანიდან საქართველოში, შავ ზღვაზე არსებულ სუფსის ტერმინალამდე ნავთობის უსაფრთხო და ეფექტური ტრანსპორტირების უწყვეტობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა.**

WREP სისტემის ექსპლუატაციას BP ახორციელებს 1998 წლიდან. შემოთავაზებული WREP-ის სექციური ცვლილებების (WREP-SR) პროექტი მოიცავს შემდეგს:

- მილსადენის სამი სექციის მარშრუტის შეცვლას ფერდობის სტაბილურობასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების მიზნით
- მდინარის ორი გადაკვეთის გამოცვლას მდინარის კალაპოტისა და ნაპირების ეროზიით გამოწვეული მილსადენის დაზიანების რისკის შემცირების მიზნით.

შემოთავაზებული ახალი სექციების მთლიანი სიგრძე დაახლოებით 13.6 კმ-ია. ეს სექციები განთავსდება არსებული მილსადენის სიახლოვეს, თუმცა გვერდს აუვლის ისეთ შეზღუდვებს, როგორიცაა მეწყერები.

გამოსაცვლელი ორი სექცია მდებარეობს თბილისის ჩრდილოეთით; ერთ-ერთი სექცია ნაწილობრივ განლაგებულია თბილისის ეროვნულ პარკში. შედარებით მცირე სექციები განთავსებულია დასავლეთ საქართველოში, ჭიათურის სიახლოვეს და მდინარე სუფსის გადაკვეთებთან, სუფსის ტერმინალის მახლობლად.

შემოთავაზებული მილსადენის სექციებთან დაკავშირებული სამუშაოებისთვის საჭირო იქნება რამდენიმე მისასვლელი გზა. პროექტი გეგმავს არსებული გზების გამოყენებას, სადაც ეს შესაძლებელია. ზოგიერთ გზას შესაძლოა დაჭირდეს განახლება და/ან გაფართოება.

მილსადენის გამოსაცვლელი მონაკვეთების ექსპლუატაციიდან გამოყვანა მოხდება WREP-SR პროექტის განხორციელების დროს.




ახალი სექციების არსებულ მილსადენთან შედუღებამდე, ძველი სექციები დაიცლება ნავთობისგან და გაიწმინდება. ამ სექციების გაწმენდის და ექსპლუატაციიდან ამოღების ყველაზე ხელსაყრელი ვარიანტის შერჩევა მოხდება მთავრობასთან კონსულტაციების საფუძველზე, მასთან შეთანხმებით და ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების მოთხოვნების გათვალისწინებით.

ძირითადი სამუშაოების დაწყება იგეგმება 2016 წლის ბოლოს, ხოლო დასრულება - 2019 წელს.

შემოთავაზებული მილსადენის ახალი სექციების მშენებლობა და ექსპლუატაცია მოხდება ნავთობის მრეწველობის საერთაშორისო სტანდარტების დაცვით. ამ სექციების მარშრუტები შეირჩა ისე, რომ ისინი გვერდს უვლის დასახლებებს; მილსადენის სექციები დაიმარხება მიწაში. მიწა აღდგება მის თავდაპირველ მდგომარეობამდე.

მშენებლობის დროს იმოქმედებს რეგულარული მონიტორინგის და ანგარიშგების პროგრამა, რომელიც გაგრძელდება ექსპლუატაციის ფაზაშიც, იმის დასადასტურებლად, რომ მილსადენი გამართულად ფუნქციონირებს.

## მიწასთან დაკავშირებული მოთხოვნები და შეთანხმებები კომპენსაციის შესახებ

შესაბამისი ღონისძიებები განხორციელდება იმ მიწათმფლობელების და მიწათმოსარგებლეების ინტერესების დასაცავად, რომელთა ნაკვეთებზეც ზემოქმედებას მოახდენს მილსადენის მშენებლობა და ექსპლუატაცია. მიწის ნაკვეთებზე უფლებების მოპოვება და კომპენსაციების გადახდა მოხდება ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულების (HGA) და მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად. მიწის შეძენა მოხდება სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, ყველა იმ პირთან კონსულტაციის საფუძველზე, რომელზეც ზეგავლენას მოახდენს მიწის შეძენა.

## წინამდებარე ბროშურის შესახებ

წინამდებარე ბროშურა წარმოადგენს BP-ს საჯარო კონსულტაციების და ინფორმირების პროგრამის ნაწილს, რომელიც ხორციელდება WREP-SR პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) მთლიანი კვლევის ფარგლებში. კონსულტაციის პროცესში შემდგომი შენიშვნების გამოხატვის შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება მომავალში.